მატჩი რთულ პირობებში

ლენინგრადი. კიროვის სახელობის სტადიონი. 31 ოქტომბერი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 3:2 (2:0).

“ზენიტი”: ტკაჩენკო, დავიდოვი, ვედენეევი, გოლუბევი, ბონდარენკო, ლარიონოვი, დოლგოპოლოვი, კაზაჩონოკი, ჟელუდკოვი, მელნიკოვი (ტომოფეევი), შვეცოვი.

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩგაშვილი (მეშკოვი, კერესელიძე), მუჯირი, დარასელია, სულაქველიძე, ხიზანიშვილი, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: კ. ვორონინი (მოსკოვი).

დუბლიორები 2:1 (თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ცავამ).

კარგად გვახსოვს თბილისის “დინამოსა” და ლენინგრადის “ზენიტის” I წრის მატჩი, რომელიც 16 მაისს შედგა თბილისში. იმ დროს ზენიტელები 10 ქულით მესამე ადგილზე იყვნენ, ხოლო თბილისელები 9 ქულით – მეოთხეზე. მაშინ დინამოელებმა იოლად სძლიეს მეტოქეს – 5:1 და მის ადგილზე გადაინაცვლეს გათამაშების ცხრილში.

ახლა ანალოგია გასაოცარი სიზუსტით გამეორდა: “ზენიტი” კვლავ მესამე ადგილზე იყო 25 ქულით, ხოლო თბილისის “დინამო” – მეოთხეზე და ისევ ქულით ნაკლები ჰქონდა (34).

გუშინდელი მატჩი ერთობ არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა: თოვდა, ყინავდა. ზენიტელებმა თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა და ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს სტუმრების კართან, რომელთაგან ორი შედეგიანად დამთავრდა მე–13 და 25–ე წუთებზე, ამასთან ორივე ბურთი გაიტანა შვეცოვმა.

შესვენების შემდეგ საპასუხო გოლის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა მიეცა შენგელიას, მაგრამ “ზენიტი” იხსნა მეკარე ტკაჩენკომ.

64–ე წუთზე ლენინგრადელებმა სწრაფი კონტრშეტევა განავითარეს და ჟელუდკოვმა მესამედ აიღო გაბელიას კარი – 3:0.

ასეთი ანგარიშის მიუხედავად დინამოელები განაგრძობდნენ იერიშებს, 66–ე წუთზე კოსტავას გადაცემა კარგად გამოიყენა ჩივაძემ, გაქვითა ერთი გოლი – 1:3, გავიდა სულ მცირე ხანი და ტკაჩენკოს მეორე ბურთის გამოტანა მოუხდა ბადიდან შენგელიას დარტყმის შემდეგ – 2:3.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, თბილისელები არ ყრიდნენ ფარ–ხმალს, კარგი მომენტები ჰქონდათ მეშკოვს, დარასელიას, მაგრამ ანგარიშის შეცვლა აღარ მოხერხდა, გაიმარჯვა “ზენიტმა”.

“ლელო”, 1 ნოემბერი, 1980 წ.